GIPA
In hoc signo vinces

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამების და მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელებისა და ამ პროგრამებში სტუდენტთა, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2021 წლის 17 მარტის N 01-21/47 ბრძანებით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელების წესს.
1.2 წინამდებარე წესის რეგულირების სფეროს, ასევე წარმოადგენს გაცვლით პროგრამებში, ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებსა და მოკლევადიან სასწავლო კურსებში სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის წესებისა და პირობების განსაზღვრა; ასევე აღნიშნული პროგრამების ფარგლებში სტუდენტების მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება.
1.3 უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე, განათლების სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებთან (შემდგომში - უსდ) ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ერთობლივ პროგრამებს.
1.4 ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესით, რეგულირდება შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

2.1 წინამდებარე წესის მიზნებისთვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ს შორის, რომლის დასრულების შემდგომ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმების საფუძველზე გაიცემა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები.
2.2 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება, მხარეების მიერ ხელმოწერამდე შესათანხმებლად ეგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
2.3 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.
2.4 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინიცირება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის სკოლის, საერთაშორისო ურთიერთობების

სამსახურის ან პარტნიორი უსდ-ს მხრიდან.

2.5 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ წინადადება განსახილველად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, რომლის მხრიდან აღნიშნული ინიციატივის მოწონების შემთხვევაში იწყება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე მუშაობა.

2.6 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე მუშაობის პროცესში პარტნიორი უსდ-ს შესაბამის პერსონალთან ერთად მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის (შემდგომში სამსახური) წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

2.7 შემუშავებულ ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომლის რეკომენდაციის საფუძველზეც პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

2.8 ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად).

2.9 იმ ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლისთვისაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სავალდებულოა აკრედიტაციის გავლა, დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.10 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ პარტნიორ უსდ-თან ერთად ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, შესაძლებელია განხორციელდეს ცენტრის მიერ აღიარებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე უცხოური ორგანიზაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2.11 საქართველოს მოქალაქე ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხვა პირი ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი განმახორციელებელი დაწესებულებების წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და მისი საქმიანობის განხორციელება

3.1 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, კონკურსის წესით სტუდენტთა შერჩევის მიზნით

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 წლით.

3.2 საკონკურსო კომისია შედგება, თითოეული სკოლის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალისგან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრისა და კვლევითი დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან, ასევე რექტორის გადაწყვეტილებით სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისგან.

3.3 საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი/საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საკონკურსო კომისია.

3.4 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია სამუშაო პროცესში ხმის უფლებით მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს დროებითი წევრი, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი ასევე, გარე მოწვეული პირი.

3.5 საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატებიდან საბოლოო შერჩევას ახორციელებს მიმღები უსდ. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატს საბოლოო გადაწყვეტილება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის/ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამებში მისი კანდიდატურის შერჩევის/შერჩევაზე უარის თქმის შესახებ ეცნობება სამსახურის მიერ, მიმღები უსდ-ს საბოლოო პასუხის შემდეგ.

3.6 იმ შემთხვევაში, თუ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამაში კონკურსის საფუძველზე შერჩეული პირის მიერ, ობიექტური გარემოების გამო ვერ ხერხდება საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობა, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს შერჩეული კანდიდატის ჩანაცვლება კონკურსში მონაწილე სხვა პირით, ან ხელახლა კონკურსის გზით განახორციელოს კანდიდატთა შერჩევა.

3.7 იმ შემთხვევაში, თუ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამა არ ხორციელდება ინგლისურ ენაზე და საერთაშორისო მობილობის წინაპირობად მოთხოვნილია სხვა უცხო ენის ცოდნა, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსში მონაწილე პირებისთვის, დაადგინოს წინამდებარე წესისგან განსხვავებული მოთხოვნები.

3.8 საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამის კონკურსში გამარჯვებულ პირს შესაძლებელია განესაზღვროს დამატებითი პირობები, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს შერჩეული კანდიდატის ჩანაცვლება კონკურსში მონაწილე სხვა პირით, ან განახორციელოს ახალი კანდიდატის შერჩევა ხელახალი კონკურსის გზით.
3.9 საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 4. სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

4.1 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული პროგრამების და კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.
4.2 დაინტერესებული პირებისთვის საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინო ადგილას შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია დაინტერესებულ პირებს მიეწოდოთ უნივერსიტეტის მიერ მათთვის შექმნილ სპეციალური ელ. ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 5. გაცვლითი პროგრამა

5.1 უნივერსიტეტი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ებთან ამყარებს საერთაშორისო თანამშრომლობას. მსგავსი თანამშრომლობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს გაცვლითი პროგრამების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას.
5.2 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა - ხორციელდება უნივერსიტეტისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ს შორის და დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ განსაზღვრული კრედიტების დაგროვებას პარტნიორ უსდ-ში.
5.3 უნივერსიტეტი, უცხო ქვეყნის უსდ-სთან საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყებამდე (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე) წერილობით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ

ცენტრს და ღებულობს ინფორმაციას პოტენციური პარტნიორი უსდ-ს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

5.4 უნივერსიტეტი გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

5.5 უნივერსიტეტის მხრიდან უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ებთან და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარებისა და განვითარების პროცესს კოორდინირებას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

მუხლი 6. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტის სტუდენტი

6.1 სტუდენტის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ს შორის სტუდენტთა გაცვლის შესახებ გაფორმებული შეთანხმებით/ხელშეკრულებით. გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტის მიერ ერთი სემესტრის განმავლობაში დასაშვებია არაუმეტეს 35 ECTS კრედიტის, ხოლო ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - არაუმეტეს 75 ECTS კრედიტის დაგროვება.

6.2 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე:

6.2.1 ბაკალავრიატის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის I-II სემესტრით გათვალისწინებული საგნები და დაგროვილი აქვთ შესაბამისი კრედიტები;

6.2.2 მაგისტრატურის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის I სემესტრით გათვალისწინებული საგნები და დაგროვილი აქვთ შესაბამისი კრედიტები;

6.2.3 დოქტორანტურის საფეხურის ნებისმიერი სემესტრის სტუდენტებს.

6.3 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

6.3.1 იმ სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის მიმართ;

6.3.2 იმ სტუდენტებს, ვის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური სახდელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან არ არის გასული 1 (ერთი) წელი, ან დისციპლინური სახდელი არ არის ვადაზე ადრე მოხსნილი.

6.4 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

6.4.1 პასპორტის ასლი;

6.4.2 შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი N1-ის შესაბამისად);

6.4.3 ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS - 6.0; TOEFL - 78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი. სერტიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდებიან ის სტუდენტები, რომელთაც

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვთ ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი კურსი და მიღებული აქვთ დადებითი შეფასება;

6.4.4 ნიშნების ფურცელი;

6.4.5 სამოტივაციო წერილი;

6.4.6 პროგრამის კოორდინატორის მიერ გაცემული რეკომენდაცია სტუდენტის ნებისმიერი სახის ექსტრაკურიკულურ აქტივობებში (საჯარო ლექცია, საუნივერსიტეტო ღონისძიება, შეხვედრა მოწვეულ სტუმართან და სხვა) მონაწილეობის/დასწრების თაობაზე.

6.5 საკონკურსო კომისიის მიერ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში სტუდენტების შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება:

6.5.1 სტუდენტის აკადემიური მოსწრება;

6.5.1[1] ინგლისურენოვანი საგნების არჩევის გამოცდილება და შესაბამისი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.5.2 უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს არადამაკმაყოფილებელი (F) შეფასება;

6.5.3 სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე;

6.5.4 უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს მისი კანდიდატურის განხილვამდე უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა;

6.5.5 სტუდენტის მოტივაცია, რომელსაც საკონკურსო კომისია ამოწმებს კანდიდატთან გასაუბრების დროს;

6.5.6 სტუდენტის მიერ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობას კომისია ამოწმებს კანდიდატთან გასაუბრებისა და პროგრამის კოორდინატორის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე;

6.5.7 სტუდენტის სამომავლო ხედვა, ფოკუსი და კრიტიკული აზროვნება.

6.6 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით, უფლებამოსილია კონკურსის გამოცხადების დროს განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები/წინაპირობები უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-სთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე.

6.7 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში მონაწილე სტუდენტს კონკურსის შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი უნივერსიტეტის მიერ მათთვის შექმნილ სპეციალური ელ. ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებებით.

6.8. გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.9 უნივერსიტეტიდან წასულ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტს უნარჩუნდება სტუდენტის აქტიური სტატუსი.

6.10 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სტუდენტის მხრიდან ფინანსურ ხარჯებთან (უცხო ქვეყანაში გამგზავრების, საცხოვრებელ ფართში განთავსების და სხვა სახის ხარჯებთან). აღნიშნულის შესახებ სტუდენტს ეცნობება წინასწარ. გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტი უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ში გამგზავრებამდე წერილობითი თანხმობით ადასტურებს, რომ ის იცნობს გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის პირობებს (დანართი N2-ის შესაბამისად).

6.11 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის განმავლობაში სტუდენტი არ თავისუფლდება უნივერსიტეტში შესაბამისი სემესტრის/სემესტრებისთვის გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

6.12 უნივერსიტეტი უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-სთან შეთანხმებით, სტუდენტის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობამდე ადგენს სტუდენტის მიერ გაცვლი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების ჩამონათვალს, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, რომელზეც ირიცხება სტუდენტი (დანართი N3 - ის შესაბამისად).

6.13 სტუდენტის მიერ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ERAMSUS + -ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების შესაბამისობის/თავსებადობის დადგენის პროცესში უნივერსიტეტის მხრიდან მონაწილეობას იღებს:

6.13.1 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

6.13.2 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი;

6.14 ამ მუხლის 6.13 პუნქტით განსაზღვრულ პირთა მიერ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კურსების/კომპონენტების შესაბამისობის/თავსებადობის დადგენის შემდეგ დგება ოქმი და ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტს და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6.15 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERAMSUS + - ის გაცვლითი პროგრამაში მონაწილე სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტთან წინასწარ შეთანხმებული სასწავლო კურსების/კომპონენტების გარდა, პარტნიორ უსდ-ში, ამ უკანასკნელთან შეთანხმებით გაიაროს დამატებითი სასწავლო კურსები/კომპონენტები.

6.16 ამ მუხლის 6.15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ დამატებით გავლილი სასწავლო კურსის/კომპონენტის ფარგლებში დაგროვილი კრედიტები შესაძლებელია არ აღიარდეს უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის.

6.17 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ, უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ უნივერსიტეტს უგზავნის, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/კომპონენტების ტრანსკრიპტს (ნიშნების ფურცელს), რის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება.

6.18 უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ERASMUS+ - ის გაცვლით პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის მიზნით, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების

შემდეგ სტუდენტი უნივერსიტეტში დაბრუნების შემდგომ ავსებს სპეციალურ კითხვარს (დანართი N4 (ა, ბ) - ის შესაბამისად).

6.19 იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო კომისიის მიერ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ERASMUS+ - ის გაცვლით პროგრამაში შერჩეული სტუდენტი, საკუთარი მიზეზის გამო ვერ ახერხებს საერთაშორისო მობილობის ფარგლებში მონაწილეობის მიღებას, ის ვალდებულია უცხო ქვეყანაში გამგზავრებამდე არანაკლებ 14 სამუშაო დღით ადრე აღნიშნულის შესახებ აცნობოს უნივერსიტეტს, რათა საკონკურსო კომისიის მიერ მოხდეს მისი ჩანაცვლება სხვა კანდიდატით ან კონკურსის ხელახლა გამოცხადება.

6.20 ამ მუხლის 6.19 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სტუდენტს და მას უნივერსიტეტის მხრიდან არ აუნაზღაურდება სტუდენტს საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 7. უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-დან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის Erasmus + -ის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტი

7.1 უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-დან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უსდ-ში, სწავლას აგრძელებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

7.2 უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-დან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტების შერჩევას/ნომინირებას ახდენს უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ და შერჩეულ კანდიდატთა სიას აწვდის უნივერსიტეტს. უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ/გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტი უნივერსიტეტს უგზავნის შემდეგი სახის დოკუმენტაციას:

7.2.1 ოფიციალური ნომინირების წერილს გამომგზავნი უნივერსიტეტიდან;

7.2.2 სასწავლო ხელშეკრულებას (არჩეული კურსების მითითებით);

7.2.3 ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატს (IELTS – 6.0; TOEFL – 78), ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატს;

7.2.4 ნიშნების ფურცელს;

7.2.5 სამოტივაციო წერილს;

7.2.6 სხვა დამატებითი სახის დოკუმენტაციას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხრიდან ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

7.3 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან/სკოლებთან კოორდინაციით ქმნის იმ სასწავლო კურსების /კომპონენტების ერთიან ბაზას, რომელზეც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტს შეუძლია დარეგისტრირდეს.

7.4 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტს შეუძლია დარეგისტრირდეს ისეთ სასწავლო კურსებზე/კომპონენტებზე, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

7.5 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტი, შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის სასწავლო კურსების/კომპონენტების ერთიან ბაზიდან ირჩევს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებს/კომპონენტებს და ათანხმებს უნივერსიტეტთან.

7.6 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ერთი სემესტრის განმავლობაში დააგროვოს არაუმეტეს 35 ECTS კრედიტი, ხოლო ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - არაუმეტეს 75 ECTS კრედიტი.

7.7 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/სკოლასთან კოორდინირებულად განიხილავს უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-ს მიერ შერჩეულ/ნომინირებულ კანდიდატებს და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტის მიღებაზე, თანხმობის ან უარის თქმის შესახებ.

7.8 უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ს/გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შერჩეულ/ნომინირებულ კანდიდატს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ეცნობება ელ. ფოსტის მეშვეობით.

7.9 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტთა საბოლოო სიას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სამსახურებრივი ბარათით, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

7.10 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტს არ ერიცხება სწავლის საფასური, თუ სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.11 უნივერსიტეტი გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელ სტუდენტს არ უფინანსებს საქართველოში ჩამოსვლის, საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის და სხვა სახის ხარჯებს, თუ სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.12 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტი ვალდებულია ჰქონდეს საქართველოში ცხოვრების უფლება (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, რაც განისაზღვრება სტუდენტის მოქალაქეობის მიხედვით) და სადაზღვევო პოლისი, რომელიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და ითვალისწინებს სტუდენტის სამედიცინო მომსახურების დაზღვევას.

მუხლი 8. გაცვლით პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი

8.1 უნივერსიტეტი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ამყარებს

თანამშრომლობებს უცხო ქვეყნის უსდ-ებთან და ხელს უწყობს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობას.

8.2 გაცვლით პროგრამებში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის მიზანია სასწავლო კურსების განხორციელების, კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება/გაზიარება, სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება, და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება.

8.3 გაცვლით პროგრამებში ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის მიზანია საგანმანათლებლო სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარება და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება.

8.4 გაცვლით პროგრამებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით მონაწილეობის შემთხვევაში, სასურველია პირს ჰქონდეს ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის განხორციელების გამოცდილება, აღნიშნულის დასადასტურებლად დაინტერესებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს ცნობა (ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი) იმ უსდ-დან, რომელშიც მას უდასტურდება სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე განხორციელება.

8.5 გაცვლით პროგრამაში აკადემიური პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნით მონაწილეობის შემთხვევაში, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადებაში მონაწილეობის გამოცდილების არსებობა.

8.6 გაცვლით პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსის გზით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა დაკავშირებულია კონკრეტული კვალიფიკაციის/კომპეტენციის არსებობასთან, მასში მონაწილე პირის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის გამოცხადების გარეშე. კონკურსის გარეშე გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

8.7 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

8.8 გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში მონაწილე აკადემიურმა, მოწვეულმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს:

8.8.1 პასპორტის ასლი;

8.8.2 შევსებული სააპლიკაციო ფორმა აკადემიური პერსონალისთვის (დანართი N5-ის შესაბამისად), შევსებული სააპლიკაციო ფორმა ადმინისტრაციული პერსონალისთვის (დანართი N6-ის შესაბამისად);

8.8.3 ინგლისურენოვანი ავტობიოგრაფია (CV);

8.8.4 სასწავლო კურსის განხორციელების გეგმა (გაცვლით პროგრამაში სასწავლო კურსის განხორციელების მიზნით მონაწილეობის შემთხვევაში);

8.8.5 კვლევითი პროექტის გეგმა (აკადემიური პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო პროექტის განხორციელების შემთხვევაში);

8.8.6 უშუალო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების წინასწარი წერილობითი თანხმობა.

8.9 გაცვლით პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კონკურსანტ(ებ)თან გასაუბრების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებასთან საკონკურსო კომისიაში მონაწილეობას იღებს კვლევების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

8.10 გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ორგანიზებულ კონკურსში მონაწილე აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს კონკურსის შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი, უნივერსიტეტის მიერ მათთვის შექმნილი სპეციალური ელ. ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებებით.

8.11 გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ორგანიზებულ კონკურსში შერჩეული კანდიდატის/კანდიდატების შესახებ ინფორმაციას უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ს ეგზავნება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილება ნომინირებული კანდიდატების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ მიიღება უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-სთან შეთანხმებით.

8.12 გაცვლით პროგრამაში კონკურსის წესით ან კონკურსის გარეშე შერჩეულ კანდიდატს/კანდიდატებს, უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-ს მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოუწიოთ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღება.

8.13 აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი უფლებამოსილია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს მიმართოს კონკრეტულ გაცვლით პროგრამაში/საგანმანათლებლო პროექტში მისი კანდიდატურის უნივერსიტეტის სახელით წარდგენის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას წარმოდგენილი წინადადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

8.14 გაცვლით პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ ვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ანგარიში (დანართი N 8-ის შესაბამისად).

მუხლი 9. უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-დან გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამომსვლელი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი

9.1 უნივერსიტეტი, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის, განათლების სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, უცხოელი პერსონალის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და ერთობლივი სამეცნიერო/კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით, თანამშრომლობს უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ებთან და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში შესაძლებლობას აძლევს უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-ს აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს სამუშაო ვიზიტით ეწვიოს უნივერსიტეტს.

9.2 გაცვლით პროგრამებში უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის მიზანია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ორგანიზებული სასწავლო კურსების განხორციელება ან განხორციელებაში მონაწილეობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება ან განხორციელებაში მონაწილეობა/გაზიარება, სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება.

9.3 გაცვლით პროგრამებში ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის მიზანია უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის/ გამოცდილების გაზიარება და საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება.

9.4 გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კანდიდატურას უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ აწვდის უნივერსიტეტს. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმოდგენილ კანდიდატურას განიხილავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით. საბოლოო გადაწყვეტილება ნომინირებული კანდიდატების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ მიიღება უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-სთან შეთანხმებით.

9.5 წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კანდიდატურას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური განიხილავს შესაბამისი სკოლის/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, განხილვის დროს კანდიდატს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელია მოეთხოვოს განსახორციელებელი სასწავლო კურსის სილაბუსის ან სხვა დამატებითი დოკუმენტაციის უნივერსიტეტისთვის მოწოდება.

9.6 სასწავლო კურსის განხორციელების/განხორციელებაში მონაწილეობის მიღების მიზნით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის განხორციელების გამოცდილების არსებობა.

9.7 კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის კანდიდატურას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური განიხილავს კვლევების დეპარტამენტთან ერთად, განხილვის დროს კანდიდატს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელია მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა ჩასატარებელ კვლევასთან დაკავშირებით.

9.8 კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ინგლისურ ენაზე შესრულებული კვლევითი პროექტი/ინგლისურ ენაზე შესრულებულ კვლევით პროექტში მონაწილეობის გამოცდილების არსებობა.

9.9 გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-სთან შეთანხმების შესაბამისად.

9.10 გაცვლით პროგრამაში მონაწილე უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ-ს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი თავად უზრუნველყოფს საქართველოში ჩამოსვლის, საცხოვრებელი ფართში განთავსების, კვების და სხვა სახის ხარჯებს, თუ გაცვლითი პროგრამის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9.11 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასწავლო კურსის განხორციელების მიზნით მოწვევის ინიცირებას ახდენს შესაბამისი სკოლის დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი ან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი.

მუხლი 10. ERASMUS + - ის ფარგლებში განხორციელებული გაცვლითი პროგრამები

10.1 უნივერსიტეტი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ებთან თანამშრომლობით მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში.

10.2 უნივერსიტეტის მხრიდან ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვებას/გაგზავნას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ებთან თანამშრომლობას კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

10.3 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში მონაწილე პირებს (სტუდენტებს, აკადემიურ, და ადმინისტრაციულ პერსონალს) პროგრამის ფარგლებიდან აუნაზღაურდებათ საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული ხარჯები. სტიპენდიის/ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მიმღები ქვეყნის შესაბამისად.

10.4 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები არ თავისუფლდებიან უნივერსიტეტში შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

10.5 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ უნივერსიტეტის სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის პროგრამაში მონაწილეობისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10.6 ERASMUS+ - ის გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც წინამდებარე წესის მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად, აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

10.6.1 გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით (GPA არანაკლებ 3.0-ისა);

10.6.2 არ უფიქსირდებათ არადამაკმაყოფილებელი (F) შეფასება;

10.6.3 საკონკურსო კომისია უფლებამოსილია ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები.

10.6.4. პარტნიორ უსდ-სთან/ებთან თანამშრომლობით ორგანიზებულ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სტუდენტთა შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება მიმღები უსდ-ის/ების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

10.6[1] საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, ERASMUS+ - ის გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა შერჩევის მიზნით დაადგინოს წინამდებარე მუხლის 10.6.1 ქვეპუნქტისგან განსხვავებული მინიმალური აკადემიური მოსწრების (GPA) ქვედა ზღვარი."

10.7 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამის კონკურსში მონაწილეების უფლება არ აქვთ წინამდებარე წესის მე-6 მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტებს, ასევე იმ პირებს რომლებსაც არ აკმაყოფილებენ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის ჩარჩო ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს, ან უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში უკვე მიღებული აქვთ ERASMUS + - ის გრანტი.

10.8 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამაში სტუდენტის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

10.9 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი უცხო ქვეყნის პარტნიორ უსდ-ში გამგზავრებამდე წერილობითი თანხმობით ადასტურებს, რომ ის იცნობს გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის პირობებს (დანართი N7-ის შესაბამისად).

10.10 ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებზე კრედიტებთან დაგროვების ნაწილში ვრცელდება წინამდებარე წესის მე-6 მუხლი 6.13 და 6.14 პუნქტებით განსაზღვრული პირობები.

10.11 ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდგომ, უცხო ქვეყნის პარტნიორი უსდ უნივერსიტეტს უგზავნის, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/კომპონენტების ტრანსკრიპტს (ნიშნების ფურცელს), რის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება.

